პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 236 (18778) პარასკევი, 14 ოქტომბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად აპარატის კომუნისტთა ინიციატივის განვითარებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის გზათა სამინისტროს პარტკომის მუშაობის შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ გზათა სამინისტროს პარტიული კომიტეტი, ხელმძღვანელობს რა პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა, ახორციელებს აპარატის კომუნისტთა იმ ინიციატივის განვითარების ღონისძიებებს, რომლის მიზანია რკინიგზის ტრანსპორტის საქმიანობის გაუმჯობესება, მათს უყრადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა ამომქმედი ძალები და საშუალებები საგეგმო დავალებათა უფრო შესრულებისათვის.

ამავე დროს პარტკომი ჯერ კიდევ სათანადო სამტკიცესა და პრინციპულობას არ იჩენს, რათა ამაღლოს სამინისტროს კომუნისტების პასუხისმგებლობა დარგის მართვისა და კომპლექსური განვითარების სრულყოფის, მოძრავი შემადგენლობის ეფექტიანი გამოყენების, ტრანსპორტზე მკაცრი დისციპლინისა და ორგანიზებულობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტისათვის.

ზოგიერთი დადებითი ტენდენციის მიუხედავად, რომლებიც მიმდინარე წელს დაისახა, რკინიგზის ტრანსპორტი სრული მოცულობით ვერ ასრულებს ქვანახშირის, ნე-ტყის, ცემენტისა და მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის დავალებებს. კვლავ არის ნაკლოვანებანი მოძრავი შემადგენლობის ექსპლოატაციაში, დიდია არარაციონალური ტვირთზიდვა. არის მატარებლების მოძრაობის გრაფიკის დარღვევის მრავალი შემთხვევა. დაბალია მგზავრთა ზომსახურების კულტურა.

აღნიშნული ნაკლოვანებანი გარკვეულწილად იმის შედეგია, რომ სამინისტროს პარტკომი, მთავარი სამმართველოების და, უწინარეს ყოვლისა, მატარებლების, სალოკომოტივო, საეგონო მეურნეობის, სალიანდაგო, კაპიტალური მშენებლობის სამსახურების პარტიული ორგანიზაციები არ იჩენენ საჭირო ზომთხოვნელობას კომუნისტი ხელმძღვანელებისადმი მინდობილ სამუშაო უბანზე საქმის ვითარებისათვის.

მთლიანად ვერ იყენებენ პარტიულ კონტროლს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების საქმეში აპარატის საქმიანობისადმი. სათანადო აქტიურობით არ წარმოებს ორგანიზატორული მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა რეალიზაციისათვის, როგორიც არის შრომის დისციპლინის განმტკიცება, საწარმო-ორგანიზაციათა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაცვა, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების უზრუნველყოფა.

სუსტად მაღლდება სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა რკინიგზის ტრანსპორტის ყველა რგოლში წესრიგის დამყარებისათვის, რკინიგზელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

სამინისტროს პარტკომი სათანადო ყურადღებას არ უთმობს აპარატის მუშაობის სტილის სრულყოფას. ნელა ხორციელდება მოთხოვნები იმ საკითხების გამო, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი სსრ კავშირის კავშირგაბმულობის, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროთა პარტიული კომიტეტების მუშაობის შესახებ. ზოგიერთ ხელმძღვანელს კვლავ მრავალი ბრძანებისა და განკარგულების ძალის იმედი აქვს. ყოველთვის ვერ არის შედეგიანი სამსახურებრივი მოვლინებანი, დაბალია საშემსრულებლო დისციპლინა, არის იმის ფაქტები, როცა დროზე არ იხილავენ, ან ფორმალურად იხილავენ მშრომელთა წერილებსა და განცხადებებს. მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს კონტროლი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საეკონომიკო ორგანოებიდან მიღებული, აგრეთვე პრესაში გამოქვეყნებული კრიტიკული სიგნალებისა და თხოვნათა რეალიზაციისადმი.

პარტკომი ვერ იყენებს ყველა შესაძლებლობას იმისათვის, რომ გააძლიეროს მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების პარტიული ორგანიზაციების, არჩევითი პარტიული აქტივის მუშაობა. ზოგიერთ პარტორგანიზაციასა და პარტჯგუფში კრებებზე არ არის ხოლმე ჯეროვანი კრიტიკა და ნაკლოვანებებისა და ხარვეზების შესახებ გულახდილი სჯა-ბაასი.

სამინისტროს პარტკომი, ქვეგანაყოფების პარტიული ორგანიზაციები არ იჩენენ სათანადო სიმტკიცეს იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი საქმიანობის დონის ამაღლებაში. ყველა კომუნისტი ხელმძღვანელი როდი მონაწილეობს აქტიურად ამ მუშაობაში.

სამინისტროს აპარატის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში საკმარისი არ არის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების როლი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გზათა სამინისტროს პარტიულ კომიტეტს დაავალა აამაღლოს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე. პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა, რკინიგზის ტრანსპორტის საქმიანობაში ნაკლოვანებათა დაძლევის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ი. ვ. ანდროპოვის ზეთითებათა განხორციელებისათვის, ტვირთზიდვის 1983 წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმების უფრო შესრულებისათვის აპარატის კომუნისტთა, ყველა თანამშრომლის დასარაზმავად. სამინისტროს ხელმძღვანელები, მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების პასუხისმგებელი მუშაკები ბეჯითად უნდა იღვწოდნენ საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში საქმის ვითარების გაუმჯობესებისათვის, დღენიადაგ ზრუნავდნენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგიანობისათვის, მოწინავე კოლექტივების საყურადღებო ინიციატივათა ფართო გავრცელებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ ყველგან დაინერგოს გამოცდილება, რომელიც შეიძინეს მოსკოველებმა მძიმე წონის მატარებლების ტარებისა და ვაგონების რემონტის ტექნოლოგიის სრულყოფის დარგში; ლენინგრადის კვანძის მეზღვაურებმა, რკინიგზელებმა, ავტომობილისტებმა და სამდინარო ფლოტის მუშაკებმა — ყველა სახეობის ტრანსპორტის მუშაობაში თანაბეგობრობის შემდგომი განვითარების საქმეში; ლვოვის ოლქის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის საწარმოების მუშაკებმა — მოძრავი შემადგენლობის ეფექტიანი გამოყენების დარგში.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცება და სათანადო წესრიგის დამყარება დარგის მუშაობის გაუმჯობესების გადამწყვეტი ფაქტორია. პარტიულ კომიტეტს, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ხელმძღვანელ კადრებს წინადადება მეცათ განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე მიღებული დადგენილების მოთხოვნებით და ბეჯითად იბრძოლონ სამინისტროს აპარატსა და საქვეუწყებო საწარმოებში სანიმუშო წესრიგის დამყარებისა და მაღალი ორგანიზებულობისათვის. გადაჭრით აღმოფხვრან შრომისა და საწარმოო დისციპლინის ყოველი დარღვევა, განსაკუთრებით იმ მუშაკთა შორის, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სამინისტროს ხელმძღვანელობას, პარტიულ კომიტეტს მოსთხოვა გააძლიერონ მუშაობა კადრების შერჩევისა და მაღალი პარტიულობისა და პრინციპულობის სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად აამაღლონ კომუნისტთა პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილ უბნებზე საქმის ვითარებისათვის. მიაღწიონ, რომ სამინისტროს თითოეული მუშაკი აჩვენებდეს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულების მაგალითს, იყოს შეურიგებელი მოშვებულობის, კუთხურობის, საქმისადმი ვიწროუწყებრივი მიდგომის ყოველი გამოვლინებისადმი. მუშაკთა დაწინაურების დროს უფრო სრულად გაითვალისწინონ მათი ორგანიზატორული ნიჭი, ინიციატივა, სიმტკიცე არსებულ სიძნელეთა დაძლევაში, ადამიანებთან ჩუმობის უნარი. შეიმუშაონ და განსაორციელონ სამინისტროს თანამშრომელთა სამქმიანი კვალიფიკაციის, დარგის მართვის სფეროში მათი ცოდნის დონის ამაღლების, ტრანსპორტის საწარმოთა საქმიანობის გასაუმჯობესებლად ეკონომიკური ბერკეტების ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებათა სისტემა.

პარტიულ კომიტეტს, მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების პარტორგანიზაციებს დაეკისრათ ბეჯითად გადაწყვეტონ სამმართველო საქმიანობის სტილის შემდგომი სრულყოფის, სამინისტროს ყველა რგოლის მუშაობაში შეთანხმებულობის განმტკიცების ამოცანები. აპარატის მუშაკებს უნდა ჩაუნერგონ გერგილიანობა და პრინციპულობა, ურთიერთმომთხოვნელობა, მიაღწიონ დარგის საწარმოთა კოლექტივებში საქმის ვითარებაზე მათი გავლენის ამაღლებას. გააძლიეროს კომუნისტი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ფაქტების აღმოფხვრისათვის, შედასაუწყებო მმოწერის ყოველნაირად შემცირების, თათბირებისა და სხდომების მოწყობის პრაქტიკის მოწესრიგებისათვის, სამსახურებრივი მავლენებების შედეგიანობისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე მართვის მთელი სისტემა უნდა გამოირჩეოდეს მაღალი ორგანიზებულობით, სიზუსტითა და ოპერატიულობით, უზრუნველყოფდეს სატრანსპორტო საშუალებების ეფექტიან გამოყენებას ტვირთზიდვაზე სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

სამინისტროს პარტკომს წინადადება მიეცა აპარატის კომუნისტთა და, უწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყროს ტრანსპორტის ტექნიკური გაანალების ამოცანების გადაწყვეტას, მხედველობაში იქონიოს, რომ მისი მუშაობის ძირფესვიანი გაუმჯობესება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ გზით, თუ დაჩქარდება ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, რომლებიც შეესაბამება არა მარტო დღევანდელ, არამედ ხვალინდელი დღის მოთხოვნებსაც.

ამ მიზნით უნდა უზრუნველყოს მუდმივი კონტროლი იმ კომპლექსური პროგრამების დროული შემუშავებისა და განხორციელებისადმი, რომლებიც დაკავშირებულია ტვირთზიდვის ორგანიზაციის სრულყოფასთან, დიდმწარმოებლური და საიმედო მოძრავი შემადგენლობის, მანქანებისა და მოწყობილობის შექმნასთან, საწარმოო ბაზის — რკინიგზის კვანძების, სალოკომოტივო და სავაგონო დეპოების, შემკეთებელი ქარხნების განვითარებისა და რეკონსტრუქციისთან. მიაღწიონ, რომ დღენიადაგ მაღლდებოდეს მუშაკთა ცოდნის დონე, მათი უნარი საქმით იყენებდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს. აპარატის თითოეული კომუნისტის მუშაობას აფასებდეს ტექნიკური პროგრესის განხორციელების საქმეში მისი წვლილის მიხედვით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სამინისტროს პარტკომს დაავალა გაუმჯობესოს მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა. მეტი დახმარება გაუწიოს მათ საქმიანობაში, მოაწყოს პარტიული აქტივის სისტემატური სწავლება და გამოცდილების გაზიარება. ბეჯითად იღვაწოს, რათა სამინისტროსა და მთლიანად დარგის პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტჯგუფებში, ქვეგანაყოფებში საქმის ვითარებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა ახასიათებდეს თითოეულ კომუნისტს, აპარატის თითოეულ მუშაკს.

ამ მიზნით უფრო ფართოდ გამოიყენოს პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა ინფორმაციები პარტიულ კრებებზე, პარტკომისა და პარტბიუროების სხდომებზე საწესდებო მოთხოვნების, სამსახურებრივი მოვალეობების, საზოგადოებრივი დავალებების შესრულების შესახებ. განვითაროს კრიტიკა და თვითკრიტიკა, თვიდან აიცილოს შაბლონი, გამოძებნოს ახალი ფორმები ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის განხორციელებაში. უფრო სრულად გაითვალისწინოს კომუნისტთა აზრი, უზრუნველყოს მათ მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების დროული რეალიზაცია.

იხელმძღვანელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით და ამ საფუძველზე გააუჯობესოს აპარატის კომუნისტთა, ყველა მუშაკის იდეური წრთობა. განსაორციელოს რკინიგზის ტრანსპორტის წინაშე დასახულ კონკრეტულ ამოცანებთან იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის განუყრელი კავშირი. უფრო ფართოდ ჩაბას პარტიისა და შრომის ვეტერანები პროპაგანდისტულ და აღმზრდელობითს საქმიანობაში.

აამაღლოს პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების როლი იმაში, რომ აპარატის მუშაკებს უნერგავდნენ საქმისადმი შეიმქმედებითს, კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, ზრუნავდნენ მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გზათა სამინისტროს კოლეგიას მოსთხოვა გააძლიეროს აპარატის მუშაკთა, რკინიგზის უფროსთა, რკინიგზის ტრანსპორტის ყველა ქვეგანაყოფის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილებათა შესრულებისათვის, რომელთა მიზანია მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, ტვირთზიდვის დადგენილ დავალებათა უთუოდ რეალიზაცია, მგზავრთა მომსახურების ძირეული გაუმჯობესება. გამოიჩინოს ინიციატივა სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ურთიერთმომქმედების გაძლიერებაში, განსაკუთრებით ტვირთის არარაციონალური გადაზიდვის შემცირების, მოძრავი შემადგენლობის უკეთ გამოყენების, ტექნიკური აღჭურვის, საწარმოო და სოციალური დანიშნულების ობიექტების დროული აშენებისა ამოცანების ფარგლებში. პარტიულ კომიტეტს დაევალა განახორციელოს მუდმივი კონტროლი ამ საკითხების გადაწყვეტისადმი, დაამყაროს მჭიდრო კავშირი შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების პარტკომებთან.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტს წინადადება მიეცათ სისტემატური დახმარება გაუწიონ სამინისტროებისა და უწყებების პარტიულ ორგანიზაციებს, რათა მათ გააძლიერონ გავლენა სამმართველო მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომ გაუმჯობესებაზე. იღვაწონ იმისათვის, რომ სრულყონ აპარატის საქმიანობისადმი კონტროლის პრაქტიკა, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად, საგეგმო და სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად, მინდობილ უბანზე საქმის მდგომარეობისათვის დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით მუშაკთა აღსაზრდელად.

მეცნიერება — წარმოებას

ქარხანა უნარჩენო იქნება

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გარემოს დაცვის კათედრის სპეციალისტებმა გადაწყვიტეს ქუთაისის ლითოფონის ქარხანა გადააქციონ უნარჩენო და უკვამლო წარმოებად. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში მომუშავე კოლეგებთან და წარმოების მუშაკებთან ერთად მათ დაადგინეს, რომ კვამლში შემავალი გოგირდის დიოქსიდის დასაჭერად ჩინებული ფილტრი შეიძლება გახდეს ლითოფონის წარმოების მყარი ნარჩენები. ეს დადასტურა ექსპერიმენტებმა.

მაგალითად, ლითოფონის თეთრი საღებავი მიიღება გოგირდოვანი თუთიისა და ნალექი გოგირდოვანი ბარიუმის ნარევისაგან. გასაგებია, რომ გოგირდის შენაერთები გარკვეული კონცენტრაციით შედის არა მარტო გამავალ გაზებში, არამედ მყარ ნარჩენებშიც. ამ ნარჩენების დაქუცმაცებულ მყარ მასაში გაზის გატარებით შეიძლება არა მარტო გავწმინდოთ კვამლი მავნე მინარევებისაგან, არამედ გავამდიდროთ კიდეც ნედლეული იმავე ლითოფონის მიღებისათვის. ასე იშვა უნარჩენო წარმოების შექმნის იდეა.

ახლო მომავალში ტონა ლითოფონის მისაღებად უფრო ნაკლები ნედლეული და ენერგია იქნება საჭირო. მთლიანად შეწყდება ბიოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა.

ოქროს შეცვლის... ნაჭუჭი

ვაჟრობაში ქართული ფაიფურის პოზიციის გამტკიცებაში დაგეგეხმარება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხატვრული კერამიკისა და მინის დარგობრივი ლაბორატორიის სპეციალისტთა მეცნიერული ნამუშევრები. მეცნიერებმა შექმნეს ძღვავი ბიგმენტები, რომლებიც ნაწარმს მდიდარ მეწამულ ელფერს მიანიჭებს.

ახალი საღებავის მიღების საფუძველი გახდა მთის ვულკანური ქანი პერლიტი და... კვერცხის ნაჭუჭი. აღმოჩნდა, რომ ასეთი ნარევი საღებავს ანიჭებს გაცილებით უკეთესი ხარისხის მეწამულ ფერს, ვიდრე ტრადიციული ოქროსა და ვერცხლის დამატება. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ნაჭუჭს წარმოებას მიაწვდიან კვების მრეწველობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოები, დიდი სასადილოები და საოჯახო სამზარეულოები.

არანაკლებ პარადოქსული ეფექტია მიღებული ფაიფურის საცდელი ნიმუშების დამზადების დროს იმ კერამიკული მასიდან, რომელსაც მკვლევარებმა დაფქვილი ვულკანური მთის ქანის გარდა დაუმატეს ხორცკომბინატების ნარჩენების — ძვლის ფხვნილის მცირე რაოდენობა. ამგვარად, მიიღეს უმაღლესი ხარისხის — ძვლის, ეგრეთ წოდებული „სევრეფ ფაიფური“. მისგან იღებენ თეთრ, თხელ, გამჭვირვალე ნაწარმს, რომელსაც განსაკუთრებულ სინატიფეს ანიჭებს. ჭიქური, ისიც მეცნიერებმა ასევე კავკასიონის მთის ქანების საფუძველზე შეიმუშავეს.

ახალი სახეობის ფაიფური შეესაბამება საუკეთესო იაპონურ, ჩინურ, გერმანულ ნიმუშებს.

(საქინფორმი).

კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველო მეორე ახალგაზრდობას განიცდის: აქ აახლებენ მოძველებულ მოწყობილობას, ნერგავენ ახალ საწარმოო სიმძლავრეებს, ჭრიან შტოლნებს, საექსპლოატაციოდ გადასცეს მამდიდრებელი ფაბრიკა.

მდინარე ჯეჯორის ნაპირზე შენდება მაღაროელთა დაბა. აქ აგებენ კეთილმოწყობილ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, სახავშვო ბაღებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებს.

სურათებზე: კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველოს შტოლნის „კატალურის“ გვირაბგამყვანი ანატოლი კოზაევი; „უკრფერადლითონრემონტის“ სპეციალისტები (მარცხნიდან): მემონტაჟე პავლე ჭელეხსაევი, ელექტროშემდუღებელი ბუხეინ ჯაფუმოვი, სამშენებლო უბნის ოსტატი ნიკოლოზ მელიქიდი და მემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ვიქტორ ივანოვი. ისინი შრომობენ კვაისის ახალი საწარმოო ობიექტების მშენებლობაზე.

ლ. გუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საოქტომბრო შრომით ვახტზე

მახარაძე

კარგ შედეგს აღწევს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში რაიონის უძველესი საწარმო — აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივი. ფეიქრებმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის 9 თვის გეგმა. მომხმარებელს ნავარაუდევზე მნიშვნელოვნად მეტი ნაწარმი გაეგზავნა.

ყაირათიანობითა და ტექნოლოგიური პროცესების დაცვით აქ 15 ათასი მანეთის ნედლეული და 3200 მანეთის საწვავ-სათბობი მასალები დაიზოგა.

უკანასკნელ ხანს ფაბრიკაში შესამჩნევად განმტკიცდა შრომისა და საწარმოო დისციპლინა. შესამჩნევად იკლო სამუშაოზე დაგვიანებისა და გაცდენების შემთხვევებმა. შრომითს მეტოქეობაში დაწინაურდნენ მუშები ნ. ქართველიშვილი, ც. ღლონტი, ე. კრაშენინოვი, მ. დოლიძე, ს. კარაპეტოვი, ა. ქაჯაია. (საკ. კორ.).

ამბროლაური

სახელმწიფო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდშია „საქსახღვინრეწვის“ ამბროლაურის ღვინის ქარხანა (დირექტორი ე. ბაკურაძე). აქ რთვლის წინა დღეებში მიიღეს სასიხარულო ცნობა: ქარხნის მიერ გასული წლის ყურძნის მოსავლისაგან დამზადებულმა ღვინოებმა „ხვანჭკარამ“, „ბარაკონმა“ და „თეთრამ“ პირველი ადგილი დაიკავეს და პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოდდნენ ღვინოების რესპუბლიკურ კონკურსზე.

რაჭული ღვინოების მაღალი ხარისხის აღიარების პასუხად ქარხნის კოლექტივმა თავდადებული შრომა გააჩაღა და გადაჭარბით შეასრულა ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოშვების იანვარ-სექტემბრის დავალება, ხოლო ღვინოების რეალიზაციის მაჩვენებელმა საგეგმო დავალებას 21,8 პროცენტით გადაჭარბა. (საკ. კორ.).

15 ოქტომბერს კომუნისტური შაბათობაა

მიაღწევენ უმაღლეს შრომის ნაყოფიერებას

რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში იმართება მუშაკთა კრებები, მიტინგები, რომლებზეც მშრომელები მხარს უჭერენ მოსკოვის მოწინავე კოლექტივთა ინიციატივას — 15 ოქტომბერს მოაწყონ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის დაწყების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი შაბათობა.

თბილისი

თბილისის დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის 300-ზე მეტმა მუშამ შეასრულა წლიური გეგმები. დაახლოებით 100 კაცმა ვალდებულება იკისრა მიაღწიოს ამ მიჯნას 15 ოქტომბრისათვის. შაბათობა აქ გაიმართება დევიზით: „წარმოების მოცულობის მთელი მატება — შრომის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვის გზით“. წარმოების ისეთმა მოწინავეებმა, როგორიც არიან ს. ბალახაშვილი, ს. მაჭარაშვილი, ზ. ნებიერიძე, გ. ხაჩიძე, ვ. კოროლენკო, ზ. უბილავა და სხვები, გადაწყვიტეს ამ დღეს გამოუშვან ჩვეულებრივზე 10 პროცენტით მეტი პროდუქცია.

მათმა მაგალითმა ფართო გამოხმაურება პოვა საწარმოში. უ. გვარამაძის, ო. ვანიევის, დ. დოშოიანისა და სხვათა ბრიგადებმა გადაწყვიტეს შაბათობის დღეს გადაჭარბებით შეასრულონ ნორმები. მთელი პროდუქცია მხოლოდ ჩინებული ხარისხით გამოვა.

ჭიათურა

საფარფოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ვ. კუპატაძის მაღაროელთა ბრიგადამ გადაწყვიტა 15 ოქტომბერს იმუშაოს დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით. ამავე ბრიგადამ ვალდებულება იკისრა სამაგრი მასალებისა და ინსტრუმენტების გამომორეებით გამოყენების, გვირაბგასაყვანი მოწყობილობის მარჯვედ ხმარების ბაზით 15 ოქტომბერს დაზოგოს 1000 მანეთი.

ქუთაისი

გაიმართა 15 ოქტომბრის კომუნისტური შაბათობის ორგანიზაციისა და ჩატარების საქალაქო შტაბის სხდომა. წინასწარი მონაცემებით, შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 60 ათასი ქუთაისელი, რომლებიც გამოუშვებენ ბილიონი მანეთის პროდუქციას.

შრომის დღესასწაულისათვის უკვე მზად არიან ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ელექტრომექანიკური, ლითოფონის, რეზინ-ტექნიკურ ნაკეთობათა და სხვა ქარხნების კოლექტივები.

ამ დღეს განხორციელდება დიდი სამუშაოები ქალაქის მოედნებისა და ქუჩების კეთილმოწყობისათვის, შეაგროვებენ 300 ტონა ჯართს.

მარნეული

მარნეულელებმა გადაწყვიტეს შაბათობის დღეს აღადგინონ კოკისპირული წვიმებით დანგრეული ნაგებობები, მთლიანად გაასუფთაონ ქუჩები და მოედნები, კეთილმოაწყონ ქალაქის ყოველი კუთხე ისე, რომ სტიქიის შედეგების კვალიც კი არასდ დარჩეს. ამას განახორციელებენ ქალაქის მშენებლები და ყველა მშრომელი, რომლებიც დასაქმებული არ იქნებიან საწარმოო სფეროში.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს 15 ოქტომბერს შრომის უდიდეს ნაყოფიერებას მიაღწიონ და მოლიონ 200 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვან.

შუქურგების გამოცდილებით

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების კოლექტივმა წლის დამდეგიდან ზეგეგმით გადაზიდა 35 ათასი ტონა ტვირთი. დაზოგილია მნიშვნელოვანი რაოდენობის ელექტროენერგია და დიზელის სათბობი, ხოლო თითოეული სატვირთო ვაგონის ბრუნვა ნორმასთან შედარებით 14,4 წუთით დაჩქარდა.

— განყოფილების საწარმოთა კოლექტივებს შორის შრომითს შეჯიბრებაში ლიდერობენ თბილისის სამგზავრო და მახარისხებელი დეპოების მემანქანეები, თბილისის სალიანდაგო დისტანციის, ხაშურის სავაგონო დეპოსა და თბილისის ენერგომომარაგების უბნის მშრომელები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რკინიგზელთა რაიპროფკავშირის თავმჯდომარემ გ. ბოგვერაძემ. — ისინი მონაწილეობენ მოძრაობაში „თითოეულის მუშაობის მაღალი ხარისხიდან — კოლექტივის შრომის მაღალი ეფექტიანობისაკენ“, და წარმატებით შეასრულეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის 25 წლისთავის აღსანიშნავად იკისრეს.

საიუბილეო ვახტის დღეებში დიდი მუშაობაა გაწეული მოსკოვის რკინიგზის მშრომელთა გამოცდილების დანერგვისათვის, რომელიც აჩქარებს ტვირთზიდვის სატვირთო მატარებლების წონისა და სიგრძის გადიდების გზით. ამის შედეგად მიმდინარე წლის 9 თვეში გადიდებული წონისა და სიგრძის მატარებლებით მარტო თბილისის მახარისხებელი დეპოს მემანქანეებმა გეგმის გადაჭარბებით გადაზიდეს დაახლოებით 400 ათასი ტონა ტვირთი — ვალდებულებით გათვალისწინებულზე 160 ათასი ტონით მეტი. ტვირთის ასეთი ნაკადის ათვისებისათვის საჭირო იქნებოდა დამატებით შეიდგენათ ნორმალური წონის 118 შემადგენლობა.

ა. ა. გრომიკო სოფიას გაემგზავრა

18 ოქტომბერს მოსკოვიდან სოფიას გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომაში.

აეროდრომზე იგი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(საკდისი).

დღეს ნომერშია:

- სტუდენტთა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილებას გვიზიარებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (მე-2 გვ.).
- საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ინიციატივებს განიხილავს მსოფლიოს ყველა რეგიონის წარმომადგენელი ცხრა სახელმწიფო. (მე-3 გვ.).
- ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი. (მე-3 გვ.).
- ამიერიდან თბილისიდან თელავამდე ივლის საფრენო სამგზავრო მატარებელი „ალაზანი“. (მე-4 გვ.).
- ფოტოზე გამოსახულია ამ დღეებში მარნეულის რაიონში გაფართოებული სახალხო დღესასწაულის „მამულიშვილობის“ ფრაგმენტი. (მასალა იხ. მე-3 გვ.).

სურნელოვან პლანტაციებში

რესპუბლიკის სპეციალიზებული მეურნეობების მშრომელები შეუდგნენ ნემსიწვერას ყლორტისა და რეპანის ფოთლის კრეფას.

მიმდინარე წლიდან, — გვითხრა „საქეთერზეთმრეწვის“ აგრარულ-საწარმოო გაერთიანების უფროსმა ი. ეცაფაშვილმა, — რეპანის შესასყიდი ფასები გაიზარდა. ეს სტიმულს აძლევს მკრეფავთა შრომას. მარნეულის, თელავის, აბაშისა და სხვა რაიონების მეურნეობებში ჰექტარზე კრეფენ 10-12 ტონა ნემსიწვერასა და რეპანის მწვანე მასას. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებელია ბაბაშერის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ზოგიერთი მუშა ჰექტარზე 20 ტონამდე ნემ

პარტიული ცხოვრება:

მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

ხარისხისათვის ხარისხიანად უნდა ირჯებოდნენ

მართალია, შრომის ჩაის ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება საღამოსთვის იყო დანიშნული, მაგრამ მე ცოტა ადრე წავედი იმ განზრახვით, რომ უფრო დაწვრილებით შევისწავლი კოლექტივის საქმიანობას, თვალს გადავავლებ ტერიტორიას, ძველ ნაცნობ-მეგობრებს მოვინახულებ და გავესაუბრები საწარმოს საჭირბოროტო საკითხებზე-მეთქი. რა დასამალია, აღნიშნული ფაბრიკა წლების მანძილზე თავს ვერ აღწევდა ჩამორჩენას და სამართლიანი კრიტიკის ობიექტი იყო. მაგრამ ბოლო ხანს, უფრო ზუსტად, მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგულ წელიწადს მისი მისამართით საქებარი სიტყვები გაისმა რაიონში — ბოლოს და ბოლოს, დაძლიეს წარუმატებლობაო.

გადავაბიჯე თუ არა საწარმოს ზღურბლს, მთავარი ინჟინერ-ტექნოლოგი რობერტ ჯოთუა შემომეყარა. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, გახარებულმა მსპინძელმა ცარიელ საკმეტ დარბაზში შემიყვანა.

— აი, ამ წითელ დროშას ხომ ხედავ? — აღტაცებით მიმითითა მთავარმა ინჟინერ-ტექნოლოგმა. საპატიო ადგილს დადებულ დროშაზე და ისევ მე მომიბრუნდა, — იგი პარტიის მახარაძის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშაა! ჩვენი არსებობის მანძილზე პირველად მოგვაკუთვნეს!

— რისთვის?

— მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მოპოვებული სამეურნეო წარმატებებისათვის! — მიპასუხა მან და საქმიან კილოზე გადავიდა, — შენც კარგად იცი, რომ წლების მანძილზე თავს ვერ ვაღწევდით ჩამორჩენას, რეკლამაციას, რისთვისაც ხშირად გვაკრიტიკებდნენ და შეგვახურებდნენ ხოლმე.

— ეს ხომ ბუნებრივია,—შევნიშნე მე, — ჩამორჩენისათვის თავზე ხელს არავინ გადაგვისვამს.

— ჰოდა, ეს ჩვენმა კოლექტივმა კარგად შეიგნო და სულ ახლებურად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების მოთხოვნების შესაბამისად წარმართეთ მუშაობა. ავამოქმედეთ გამოუყენებელი რეზერვები, გავაძლიერეთ ურთიერთკონტროლი და მომთხოვნელობა, ბრძოლა გამოვუცხადეთ ფორმალიზმს. წინა პლანზე წავწიეთ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის პრობლემები.

— რამდენადაც ვიცი, გასულ წლებში თქვენს პროდუქციას მომხმარებელი სათოფედ არ ეკარებოდა, — მორიდებით შევნიშნე, — რომლის გარკვეული ნაწილი უკანვე გიბრუნდებოდათ. ამაზე რას იტყვით?

— ახალი სეზონი ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტი დაცვით დავიწყეთ. პროდუქციის ხარისხის ბედ-იღბალი ყველამ გულთან მიიტანა, რადგან ეს იყო მთელი კოლექტივის, თითოეული ჩვენგანის ღირსების საქმე. სოციალისტურმა შეჯიბრებამ გამოამზეურა დამკვრელები.

— ვინ არიან ისინი, ვერ მეტყვი?

— რატომ ვერ გეტყვი: მ. ნოზაძე, მ. თავაძე, კ. სამხარაძე, გ. ბოლქვაძე, ს. მკადანაძე, ო. ბიწაძე, ნ. დავითაძე, მ. ვაშაყმაძე. წარმატება უფრო დიდი გვექნებოდა... თუმცა ჯობია, დახარჩენი კრებიდან შეიტყო.

დრო შეუმჩნევლად გავიდა. კომუნისტები მოგროგდნენ და კრებაც დაიწყო. მომხსენებელმა, ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ზ. მახარაძემ კარგად ილაპარაკა საანგარიშო პერიოდში გაწეულ იდეოლოგიურ, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე. ასევე აღნიშნა ის წარმატებები, რასაც საწარმოს კოლექტივმა მიაღწია სამეურნეო სფეროში. მიმდინარე წლის 8 თვის დავალება შესრულებულია 101 პროცენტით, რეალიზაციის გეგმა—102,6, „საქართველოს თაიგულის“ გამოშვების წლიური გეგმა — 106,6, უმაღლესი ხარისხის ჩაის ფოთლისა — 114,3, პირველი ხარისხისა — 100,6 პროცენტით.

— მიმდინარე სეზონში 800 ტონაზე მეტი ჩაის პროდუქცია გავგზავნეთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, — აღნიშნა კამათში გამოსულმა კომუნისტმა ვ. ჯორბენაძემ, — მაგრამ წინა წლებისაგან განსხვავებით არც ერთი პრეტენზია არ მიგვიღია. რა არის წარმატების საიდუმლო? ის, რომ ავამაღლეთ მომთხოვნელობა, გამოვკვეთეთ კომუნისტების ავანგარდული როლი, მხედველობის არიდან არ ვუშვებთ ტექნოლოგიურ რეჟიმს, სამარცხვინოთა დაფაზე ვაკრავთ წუნისმკეთებლებს, ზარმაცებს, სხვადასხვა სახის დამრღვევებს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ბრძოლა ჯერ ბოლომდე არ არის მიყვანილი.

— ხშირად ამბობენ, მოწადინება საქმის ნახევარიაო, — თქვა ფაბრიკის მთავარმა მექანიკოსმა დ. ჯაშმა, — და ჩვენი სპეციალისტებიც მთელი მონდომებითა და სიყვარულით შრომობენ, მანქანა-დანადგარებს თვალის ჩინივით უფრთხილდებიან, ვინაიდან მათ გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული ორმალური ტექნოლოგიური რეჟიმიც. დღეს რაიონის ჩაის ფაბრიკებს შორის პირველი ადგილი რომ დავიკავეთ, ამაში გარკვეული წვლილი ჩვენს მექანიკოსებსაც უდევთ. წარმატებებს უფრო გავამრავლებთ, თუ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებიც გაუმჯობესდება. კერძოდ, ფაბრიკის სასადილო მაქვს მხედველობაში, სადაც დიდი ხანია ხელი აიღეს მუშებისათვის ნოყიერი და მრავალფეროვანი კერძების მომზადებაზე...

— სწორედ მაგიტომ არის, მუშას ქუდი რომ შუბდო, ფეხს არ შეადგამს მაგ სასადილოში, — მხარი აუბა სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარემ ბ. ქვილორიამ, — სასადილოს დარბაზი საუკეთესო დგამ-ავიჯით და ინვენტარით არის გაწყობილი, მაგრამ მარტო ეს რა სარგებელს მოგვიტანს, როცა სამზარეულოში ანტისანიტარია და უსუფთაობაა, კერძები კი — უგემური. ამიტომ მუშები იძულებული არიან სადილისთვის ყოველდღიურად რამდენიმე კილომეტრზე იარონ სხვადასხვა სასადილოში. ეს კი თავისებურ დაღს ასვამს მუშათა ენერგიას, ჯიბეს, განწყობილებას, საწარმოს შრომის ნაყოფიერებას.

კომუნისტებმა — მთავარმა ავრონომმა გ. ცეცხლაძემ, საბავშვო ბაღის აღმზრდელმა ვ. ბერაიამ, დურგალმა გ. გოგოძემ ქართხმად აღნიშნეს, რომ საჭიროა მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმება, კადრების აღზრდაში, შერჩევასა და განაწილებაში ლენინური პრინციპების განუხრელი გატარება. მათ ასევე გულისტკივილით იმსჯელეს სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების, კავშირგაბმულობის ქსელის მუშაკთა დაუდევრობასა და გულგრილობაზე. არც ის დავიწყებიათ, რომ უკვე მეცხრე წელია, რაც 12-ბინიან მუშათა საცხოვრებელ სახლს აშენებენ, მაგრამ კედლები ჯერ მიწას არ აშორებია.

— ჩვენი კოლექტივი თავდადებით შრომობს და შედეგიც თვალნათელია, — აღნიშნა ფაბრიკის დირექტორმა ნ. ხომერიკმა, — წელს შესამჩნევად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. 8 თვეში ზეგეგმითმა მოგებამ 82 ათას მანეთს გადააჭარბა. ფაბრიკის სადღეღამისო წარმოება 70 ტონას არ აღემატება, ფაქტიურად კი 80 ტონა ნედლეულს ვამუშავებთ, რაც წარმოების მაღალეფექტურობაზე მეტყველებს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ უბრალო ჭეშმარიტება: მოპოვებული დაკმაყოფილება იგივე ჩამორჩენაა. ამიტომ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს თავისი ნაკლოვანი მხარეები და მუშაობაში იხელმძღვანელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და მიმდინარე წლის ივნისის პლენუმების დადგენილებებით, წლეულს თბილისში გამართული საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციებით. ეს კი იმის მტკიცე გარანტიას იძლევა, რომ გარდამავალი წითელი დროშა სულ მუდამ ჩვენთან თუ არ დარჩება, ჩვენი ხშირი სტუმარი მაინც იქნება.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თბილისის საინსტრუმენტო ჭარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციისა და მისი რეალიზაციის სექტემბრის გეგმები. კარგი შედეგია მიღწეული ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. ახლა აქ საპატიო ხუთკუთხედით 26 სახეობის იარაღებს ამზადებენ. მათ შორის გახლავთ პროგრამული ჩარხებისათვის გათვალისწინებული იარაღებიც.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ჭარხნის ყველა უბნის, საამქროსა და ბრიგადის კოლექტივი.

სურათებზე: ზევიდან — ფრეზების უბნის მოწინავე ამლესავი ი. კობიძე, ხარატი ვ. კალაშნიკოვი და მლესავი ფ. ფილიპეა; ცენტრალური გასაზომი ტექნიკური ლაბორატორიის უფროსი ხ. წერეთელი და ლაბორანტი ც. ჯოჯიკაშვილი მრავალწახნაგა საჭრისის პარამეტრებს ზომავენ.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

თესლბრუნვის სიკეთე

„პარტია იღაწვის იმისათვის, რომ ჩვენში ადამიანი იზრდებოდეს არა უბრალოდ გარკვეული ცოდნის მატარებელად, არამედ უწინარეს ყოვლისა სოციალისტური საზოგადოების მოქალაქედ, კომუნიზმის აქტიურ მშენებლად, მისთვის დამახასიათებელი იდეური მიზანდასახულობით, მორალითა და ინტერესებით, ზრდისა და ძალის კულტურით“.

ი. ვ. ანდროპოვი.

თესლბრუნვა მიწათმოქმედების უაღრესად მნიშვნელოვანი ელემენტია. სწორედ მის ფონზე უნდა შემეშუშავდეს ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობაში კულტურათა მოყვანის აგრონომიული გეგმა. ეს გეგმა უნდა მოიცავდეს ნიადაგის დამუშავების, თესვის, ჯიშიანი მეთესლეობის ნათესების მოვლის ღონისძიებათა კომპლექსს, ნიადაგის განაყოფიერების ორგანული, მინერალური, სიდერალური და ბაქტერიული სასუქებით, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებას, სამელიორაციო ღონისძიებებს, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის კომპლექსურ გამოყენებას. აქვე უნდა იყოს მოცემული მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი და სხვა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ნიადაგის ნაყოფიერების თანდათანობით გადიდებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდას და მათი თვითღირებულების შემცირებას.

ცნობილია, რომ თესლბრუნვა ხელს უწყობს მეურნეობის ტერიტორიისა და შრომის სწორ ორგანიზაციას, საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას, შრომის ნაყოფიერების დონის ამაღლებას და ყველა კულტურის მოსავლიანობის გადიდებას.

დადასტურებულია, რომ თავთავიანი კულტურების ერთსა და იმავე ნაკვეთებზე შეუნაცვლებლად ზედიზედ რამდენიმე წლის განმავლობაში თესვის დროს ნიადაგში ვრცელდება ამ კულტურის სპეციფიკური მავნებლები და დაავადებანი, აგრეთვე სარეველა მცენარეები, რომელთა წინააღმდეგ მარტო ქიმიური მეთოდით ბრძოლა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ბევრ შემთხვევაში სასურველ შედეგს არ იძლევა. ამიტომ სწორი თესლბრუნვის შემოღებას და წარმოებაში დანერგვას ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში ნათესმალახიანი თესლბრუნვების შემოღება და დაპროექტება ჯერ კიდევ 1932 წელს დაიწყო. თესლბრუნვა პირველად აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში დაინერგა და 1953 წლისათვის ეს სამუშაოები ძირითადად დამთავრებული იყო. მას შემდეგ თესლბრუნვა ნორმალურად მიმდინარეობდა.

სამწუხაროდ, 1954-64 წლებში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის კულტურების განვითარებაში მცდარი გეზის აღების გამო, დიდი შეცდომა იყო დაშვებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის საკითხებში. ნათესმალახიანი თესლბრუნვის დაუსაბუთებელი უგულებელყოფის შედეგად მრავალწლოვანი ბალახის ნათესების დიდი ნაწილი გადაიხნა, შემოღებული და ათვისებული თესლბრუნვები უხეშად დაირღვა, შეწყდა თესლბრუნვების სამუშაოები, ტყეცაცავ, სამელიორაციო და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების სამუშაოები, ყოველივე ამან უარყოფითად იმოქმედა სოფლის მეურნეობის შემდგომ წინსვლა-განვითარებაზე.

მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი განვითარებისათვის ი ს კკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო წლების დადგენილებათა შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ არაერთხელ დაავალეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სწორი თესლბრუნვის შემოღება და შიგასამეურნეო მიწათმოწყობის სამუშაოთა შესრულება. მიუხედავად ამისა, სამიწათმოქმედო ორგანოების უყურადღებობის შედეგად დღემდე მინდვრის კულტურები ყველგან არ ითესება თესლბრუნვით განკუთვნილ მინდვრებში, უმნიშვნელო რაოდენობით ითესება მრავალწლოვანი ბალახის ნათესებიდან სათესლე ნაკვეთები, არ ახორციელებენ მოვლა-პატრონობის სამუშაოებს და ამის შედეგად მიტად მცირე მოსავალს იღებენ.

ყოველივე ეს იმით არის გაპირობებული, რომ ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელებმა თვითდინებაზე მიუშვეს ეს საქმე, ღრმად არ სწავლობენ საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკას, ზერელედ ხელმძღვანელობენ მეურნეობებს, შეუფასებლობას იჩენენ მეცნიერების ბიწყვებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისადმი. ამასთან იქ, სადაც სოფლის მეურნეობის სხვა საკითხებთან ერთად ყურადღების ცენტრშია მოქცეული თესლბრუნვის შემოღებისა და ათვისების საკითხები, შედეგებიც კარგი აქვთ.

ამ მხრივ აღსანიშნავია ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელებისა და საზოგადოებრივ მეურნეობათა საქმიანობა. რაიონში შემოწმებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ერთფლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების — ჩაის, ციტრუსების, ხეხილის, სიმინდის, მეცხოველეობის საკვებ კულტურათა თესვა-მოყვანა და გაშენება ძირითადად მიმდინარეობს შიგასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტით გათვალისწინებული გეგმის სრული შესაბამისობით. დარჩელის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში და განმუხურის მეხილეობის (თხილის) საბჭოთა მეურნეობაში ხელმძღვანელი ამხანაგები, სპეციალისტები კარგად არიან გარკვეული და დაუფლებული შიგასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტის ძირითად საკითხებში.

ამ მეურნეობებში 1983 წლის ბოსაელისათვის მიწათმოქმედების პროექტის სრული შესაბამისობით დათესეს სასოფლო-სამეურნეო კულტურები და გააშენეს მრავალწლოვანი ნარგავები. როგორც მრავალწლოვანი, ისე ერთწლოვანი კულტურების მოვლის სამუშაოები (კულტივაცია, სასუქების შეტანა, თოხნა, სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი და სხვა) აგროვადებში და სათანადო წესების დაცვით შესრულდა. ამის შედეგად ჩაის, ციტრუსების, თხილის და სხვა მრავალწლოვანი ნარგავების ზდგომარეობა ორივე მეურნეობაში კარგია. გაიხარა ნარგავების 95-98 პროცენტმა.

ამ მიმართულებით კარგი მუშაობაა გაწეული აბრეთვე აბაშის რაიონის ზანათის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობაში. აქ თესლბრუნვის მინდვრებში კულტურათა თესვა-მოყვანა და ბოვლის სამუშაოები შიგასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტის მიხედვით მიმდინარეობს. ამის შედეგად დაპროექტებული 9 ნაკვეთიანი მინდვრის სპეციალური თესლბრუნვა და პროექტის სხვა ელემენტების ათვისება ბოლო წლებში გეგმაზომიერად და შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ზუგდიდის, გეგეჭკორისა და აბაშის რაიონების შემოწმებულ მეურნეობებში ფართო მასშტაბით სრულდება დაჭაობებული და ჭარბტენიანი მიწების სამელიორაციო, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება და ბოვლა-პატრონობა, რაც ეფექტიანად მოქმედებს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებაზე, მეცხოველეობის პროდუქტიულობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრ გადიდებაზე. ეს და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ამ მეურნეობებში ხორციელდება, ხელს შეუწყობს სასურსათო პროგრამის შესრულებას.

ანალოგიური მდგომარეობაა მიწათმოწყობის პროექტის ათვისების განხორციელების საქმეში სამტრედიის რაიონის ღანირის მებოსტნეობა-მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობას მეფობას უწევს (დაგეგმვა, დაფინანსება და სხვა) „საქბოსტანჯიშთესლის“ რესპუბლიკური გაერთიანება (უფროსი — გ. მორჩაძე). გაერთიანების ხელმძღვანელობა ზუსტად და განუხრელად იცავს შიგასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტის ორნაციემებს; მეურნეობაში საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების თესვისა და მრავალწლოვანი ნარგავების გაშენების დავალებანი გაერთიანების ხელმძღვანელებმა პროექტის მიხედვით შეასრულეს, რამაც უზარმაზარი ეფექტი მოგვცა. ასეთი საკვანძო საკითხია ჭვავ-ძეძისათვის დიდ მუშაობას ეწევა ჩვენი ქვეყნის არაერთი მოწინავე უმაღლესი სასწავლებელი. ამათგან პირველთაგანი მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელია. სწორედ ამ ინსტიტუტს ეკუთვნის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნის იდეა, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ ბაუმანელები შედარებით ლოკალურ ამოცანას ისახავდნენ მიზნად — საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას.

ჩვენმა ინსტიტუტმა გადაწყვიტა, გაეზიარებინა საზოგადოებრივ მეცნიერთა ფაკულტეტის შექმნის იდეა, მაგრამ ეზრუნა მის მოდიფიცირებაზე რესპუბლიკისა და ინსტიტუტის კონკრეტული პირობების შესაბამისად.

ასე შეიქმნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი. რომლის ახლა უკვე თითქმის ხუთწლიანი მუშაობის გამოცდილება მიუთითებს, რომ არჩეული გზა ნაყოფიერი აღმოჩნდა მთელი აღმზრდელობითი სისტემის სრულყოფისათვის ბრძოლაში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი აერთიანებს ყველა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრას, არის აზრი, მასვე დაექვემდებაროს ფიზიკური აღზრდის კათედრა და სპორტკლუბი. ამ ფაკულტეტის დეკანია ინსტიტუტის პროორექტორი აღმზდელობითი მუშაობის დარგში. დეკანატი მმართველობას ახორციელებს სამეცნიერო საბჭოს საშუალებით. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა ინსტიტუტის რექტორი, ხოლო მოადგილე — პროორექტორი აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. სამეცნიერო საბჭოს წევრები არიან საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა კათედრის გამგე, მოწინავე საზოგადოებათმცოდნე მასწავლებლები, მათ შორის ყველა პროფესორი, პროორექტორები სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის დარგებში, ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ასეთი შემადგენლობით საბჭო უფლებამოსილია გადაჭრას საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და სტუდენტთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ნებისმიერი საკითხი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომუნისტები (აქ კი უმრავლესობა კომუნისტია) ცალკე პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში არიან გაერთიანებული. დამოუკიდებელია პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციაც.

ძიება გამარჯვებისათვის

უმაღლესი სკოლის საზრუნავი

ფაკულტეტის შექმნით ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავდა უზრუნველეყო მთელი აღმზრდელობითი სისტემისადმი ხელმძღვანელობის ოპტიმალური პირობები. მართლაც, საზოგადოებათმცოდნეთა და ადმინისტრაციის აღმზრდელობითი დარგის მუშაკთა ორგანიზაციულმა გაერთიანებამ ნათლად გამოკვეთა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში პროორექტორისა და დეკანის მოადგილეების ინსტიტუტი.

ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტშიც სტუდენტთა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სფეროში სადღეისოდ საკმაო გამოცდილება შეგიძინეთ. 'იმთავითვე ასე დამკვიდრდა, რომ ჩვენთან, ინსტიტუტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების თანახმად, ღრმად და სერიოზულად ანალიზდებოდა ყოველი განვლილი წლის მუშაობის შედეგები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა გამოუყენებელ შესაძლებლობებსა და რეზერვებს. რა დასამალია, პირველ ხანებში პროორექტორი აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, მართლაც, უჭირისაცო გენერალს წააგავდა. პრაქტიკა კი დაბეჯითებით გვიჩვენებდა აღმზრდელობითი ძალების კოორდინაციის აუცილებლობას.

როცა პრობლემათა გადაჭრის გზებს ეძიებდა, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა გამოდიოდა იმ უდავო ფაქტიდან, რომ უმაღლეს სასწავლებელში საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მართვა მხოლოდ ორგანიზაციული საკითხი არ იყო. უმაღლესი სკოლის პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად ამ კათედრების შემოქმედებითს მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული პარტიულ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი და იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობა, მომავალი სპეციალისტის მოქალაქეობრივი აღზრდა, მთელი კოლექტივის იდეური დონე და მიმართულება. ასეთ საკვანძო საკითხთა კვლევა-ძიებისათვის დიდ მუშაობას ეწევა ჩვენი ქვეყნის არაერთი მოწინავე უმაღლესი სასწავლებელი. ამათგან პირველთაგანი მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელია. სწორედ ამ ინსტიტუტს ეკუთვნის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნის იდეა, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ ბაუმანელები შედარებით ლოკალურ ამოცანას ისახავდნენ მიზნად — საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას.

ჩვენმა ინსტიტუტმა გადაწყვიტა, გაეზიარებინა საზოგადოებრივ მეცნიერთა ფაკულტეტის შექმნის იდეა, მაგრამ ეზრუნა მის მოდიფიცირებაზე რესპუბლიკისა და ინსტიტუტის კონკრეტული პირობების შესაბამისად.

ასე შეიქმნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი. რომლის ახლა უკვე თითქმის ხუთწლიანი მუშაობის გამოცდილება მიუთითებს, რომ არჩეული გზა ნაყოფიერი აღმოჩნდა მთელი აღმზრდელობითი სისტემის სრულყოფისათვის ბრძოლაში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი აერთიანებს ყველა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრას, არის აზრი, მასვე დაექვემდებაროს ფიზიკური აღზრდის კათედრა და სპორტკლუბი. ამ ფაკულტეტის დეკანია ინსტიტუტის პროორექტორი აღმზდელობითი მუშაობის დარგში. დეკანატი მმართველობას ახორციელებს სამეცნიერო საბჭოს საშუალებით. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა ინსტიტუტის რექტორი, ხოლო მოადგილე — პროორექტორი აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. სამეცნიერო საბჭოს წევრები არიან საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა კათედრის გამგე, მოწინავე საზოგადოებათმცოდნე მასწავლებლები, მათ შორის ყველა პროფესორი, პროორექტორები სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის დარგებში, ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ასეთი შემადგენლობით საბჭო უფლებამოსილია გადაჭრას საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და სტუდენტთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ნებისმიერი საკითხი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომუნისტები (აქ კი უმრავლესობა კომუნისტია) ცალკე პირველად პარტიულ ორგანიზაციაში გაერთიანებულ პარტიულ ორგანიზაციაში. ახლა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველადი პარტორგანიზაცია ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი და საიმედო დასაყრდენია.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნით ჩვენი ინსტიტუტის ცხოვრებაში დასაბამი მიეცა არაერთ პოზიტიურ ტენდენციას.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე აღინიშნა, ორგანიზაციული სრულყოფა სოციალური ორგანიზმის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების დამხმარე საშუალება კი არ არის, არამედ საფუძველი და აუცილებელი პირობაა.

საზოგადოებათმცოდნე მეცნიერთა ერთ ცალკე ორგანიზაციაში გაერთიანებამ, უპირველეს ყოვლისა, დადებითად იმოქმედა კათედრების საქმიანობაზე, მათს გაეაქტიურებასა და მუშაობის გამრავალფეროვნებაზე.

საბჭოთა უმაღლესი სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების წინაშე სამი უდიდესი მნიშვნელობის სოციალური ამოცანა დგას:

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების შემდგომი გაუმჯობესება და მისი ხარისხის ამაღლება; სტუდენტი ახალგაზრდობის და, საერთოდ, კომუნისტური აღზრდის სისტემის სრულყოფა; მარქსისტულ-ლენინური თეორიის აქტუალური პრობლემების კვლევის განვითარება სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჩამოყალიბებით ჩვენ შეგვექმნა სამივე ამოცანის უკეთ გაძღოლის პირობები.

ფაკულტეტის დეკანატი და სამეცნიერო საბჭო თავის ძირითად მოვალეობად, ბუნებრივია, ინსტიტუტში სწავლების ხარისხის ამაღლებას თვლის. ამ მიზნით თანამიმდევრულად მიმდინარეობს მუშაობა სწავლების ახალი ფორმების დამკვიდრებისათვის, კერძოდ, სწავლების ინფორმაციული მეთოდის ნაცვლად სამეცნიერო საბჭო აუცილებლად მიიჩნევს პრობლემური მეთოდის დანერგვას, როგორც სალექციო, ისე სასემინარო მუშაობაში. ამ მიზნით რეგულარულად ეწყობა ოთხივე კათედრის გაერთიანებული სხდომები, რომლებზეც სერიოზული მსჯელობის საგანია ცალკეული პრობლემური ლექციის ტიპსტები და თვით პრობლემური სწავლების მეთოდოლოგიური საკითხები.

პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ კათედრების ერთობლივი მუშაობის მეოხებით შეიძლება მივაღწიოთ საზოგადოებრივ დისციპლინათა სწავლების პროცესში მემკვიდრეობითობის პრინციპის განხორციელებას. ეს და მეთოდიკის სხვა საკითხები მუშავდება ფაკულტეტის მეთოდკომისიაზე, რომლის რეკომენდაციებიც ასევე სამეცნიერო საბჭოს სერიოზული განხილვის საგანი ხდება.

დიდი ყურადღება ეთმობა სწავლების პროცესში ტექნიკურ და თვალსაჩინო საშუალებათა გამოყენებას. სკკპ ისტორიის სასწავლო კურსის ყველა თემისათვის შერჩეულია სათანადო მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, მარქსისტული ფილოსოფიის კურსის ყველა თემისათვის შედგენილია თეორიული მასალის საილუსტრაციო სტრუქტურულ-ლოგიკური სქემები. მდიდარი საილუსტრაციო მასალა აქვს პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრას.

ინსტიტუტის მასშტაბით განხორციელებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად საზოგადოებათმცოდნეთა ცალკე ფაკულტეტად გაერთიანებამ ხელი შეუწყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერული შრომის კოოპერირებას. ცნობილია, რომ თანამედროვე პირობებში მეცნიერული პრობლემატიკის, მით უფრო სოციალური მოვლენების შესწავლა ძალუძს მხოლოდ მეცნიერთა კარგად ორგანიზებულ კოლექტივს, რომლის წევრთა შორისაც შრომა უაღრესად გონივრულად არის დანაწილებული.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერთა მთელი კოლექტივი მიმდინარე ხუთწლედში სამთო მიწათმოქმედების პრობლემებს აშუშავებს.

სამთო მიწათმოქმედების ამ პრობლემების დამუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა 43,4 პროცენტი მთის ზონაშია. მით უფრო სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი კავშირის მასშტაბით მეთაური სამეცნიერო დაწესებულებაა სამთო მიწათმოქმედების პრობლემების დამუშავების დარგში. სამთო მიწათმოქმედების განვითარების პრობლემის დამუშავებაში მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკათა სასოფლო-სამეურნეო პროფილის სხვა. უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები.

ისიც ცნობილია, რომ გარკვეული რეგიონის ეკონომიკური განვითარების სერიოზული შესწავლა და, მით უფრო, მისი მართვა, შეუძლებელია სოციალური და სულიერი განვითარების პროცესების კვლევისა და შესწავლის გარეშე. ამიტომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები ორგანულად ჩაერთვნენ თემის დამუშავებაში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ოთხივე კათედრა იკვლევს საქართველოს მთის სოფლების სოციალური განვითარების პრობლემებს

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲓᲐᲜ

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ საქართველო წარმოადგენდა თეატრს, სადაც თამაშდებოდა ურთულესი ტრაგედია, მისი კვანძის ახსნა მოითხოვდა ეროვნულ ძალთა სრულ მობილიზაციას; „ყალიბდებოდა ორი მაგისტრალური პოლიტიკურ-სოციალური ხაზი — ბრძოლა „აღდგენა-გამოხსნისათვის“, და მეორე — გლეხთა მძაფრი მოძრაობა „შრომის სუფთისათვის“.

...ეს ორი ნაკადი ერთმანეთში იყო ჩახლართული, ორივე ერთმანეთით საზრდოობდა და ერთმანეთს აპირობებდა. ამავე დროს ორივე ერთად კი ხელს უშლიდა გარკვეული ეროვნული კონცეფციის ჩამოყალიბებას. სწორედ ამიტომ იყო, რომ „ქართველობის“ ხსნის იდეოლოგიური ფორმულა მხოლოდ ორ ძირითად საყრდენს დაეფუძნა: პასიური თვითდაცვას და საომედო მოკავშირის მოძიებას. „აღდგენა-გამოხსნისათვის“ ბრძოლაში ვერ გამოინახა ეროვნული გადარჩენის სრულყოფილი პლატფორმა. ამ დროისათვის ქვეყნის გაერთიანებისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ორსუკუნოვანმა მოძრაობამ გეერი აუარა სოციალურ პრობლემატიკას, ან მეტისმეტად არაარსებითი ადგილი მიუჩინა ამ საკითხს. „ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არავის დაუყენებია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გარდაქმნის საკითხი. არ დასმულა ეგრეთ წოდებული საზოგადო კითხვები, რომლებიც გაისმა ესოდენ მწვავედ XIX საუკუნეში“.

ასეთ სიტუაციაში „მაღალი ზნეობრივი დისციპლინით შეიარაღებულმა“ მეფე ერეკლე მეორემ, ქვეყნის პროგრესულ ძალთა ეგზეშარიტმა ლიდერმა, იკისრა უმძლესი მორალური პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხის წინაშე და გადაჭრა „ბედი ქართლისა“ — მტკაცეკ ვაზიერთ ფაფუროყვრდა მომმე რუსეთს. ერეკლე მეორის ეს ნაბიჯი ამომწურავად არის შეფასებული ისტორიოგრაფიაში. ახსნილია წმინდა კალსაბრივი პოზიციებიდანაც. შესწავლილია მისი მოღვაწეობის დიპლომატიურ-იურიდიული თუ პოლიტიკური ასპექტებიც.

არც ერთი ქართველი მეფის რომელიმე გადაწყვეტილებას აო ჰქონია ესოდენ ძლავრი რეზონანსი ისტორიულ მეცნიერებაში, მხატვრულ ლიტერატურაში, ფოლკლორში (რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ვეგანი შუა საუკუნეები), როგორიც ერის ამ გადაწყვეტილებას, ზოგჯერ ეჭვიც გამოითქმოდა, ალაგ-ალაგ მძაფრი კრიტიკაც, და მაინც უცვლელი დარჩა ძირითადი ფენომენი; ერეკლე მეორე ქართველი ერის კოლექტიურ მეხსიერებას ჩაედუღაბა, ვითარცა ეროვნული გმირი.

ცხადია, ეს არ ნიშნავს თითქოს ქართული ალტერნატივის ერეკლესეული გადაწყვეტა მხოლოდ რეაქციის და პროგრესის ურთიერთბრძოლა იყო. ალტერნატივეულ გზასაყარზე ძალზე ბევრი პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწესაც სარისკოდ მიიჩნდა მომავლის განჭვრეტის ის გზა, რომელზეც მეჩერდა პატარა კახის არჩევანი. ერეკლე მეორის საწინააღმდეგო ოპოზიცია საერთო რეაქციული ბუნების პარალელურად არაიშვიათად გამოხატავდა ჯანსაღი დემოკრატიული ძალების ერთი ნაწილის ღრმა დაფიქრებას ქვეყნის პოლიტიკური პერსპექტივის საიმედოობის შესახებ.

სწორედ ამ პრობლემას ეხება ლ. ვ. ტუხაშვილის შინაარსიანი მონოგრაფია. ავტორი მეცნიერული პირუთვნელობით შეისწავლის ერთ მნიშვნელოვან მოვლენას — 1765 წლის პაატა ვახტანგის ძე ბაგრატიონის შეთქმულებას. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის ეს შედარებით მცირე მონაკვეთი ლ. ტუხაშვილს განხილული აქვს მეტად ფართო თვალსაზრისით. მისი აზრით, 1765 წელს, როგორც მძლავრ ფოკუსში, თავი მოიყარა ქართლ-კახეთის სამეფოს წინაშე მდგომმა ყველა მტკივნეულმა პრობლემამ. ავტორმა სწორედ ამ კუთხიდან განიხილა ბევრი წმინდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენა. ორიგინალურად დაწერილ შესავალში ლაკონიურად არის შეფასებული სოციალურ-საზოგადოებრივი მოძრაობის ბუნება გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. დამაჯერებლად არის ახსნილი ამ მოძრაობის მოჩვენებითი შეზღუდულობა.

ძალზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ეგრეთ წოდებული ლეგიტიმისტური ტენდენციების განხილვა. ბაგრატიონთა დინასტიის ორი შტოს — კახი და მუხრანელი ბაგრატიონების დაპირისპირების ჩვენებისას ავტორი ახლებურად ხსნის ქართული დიპლომატიის ბევრ საკითხს. იგი მახვილგონივრულად მიუთითებს, რომ დამოუკიდებლობის ნამდვილი ატრიბუტის, — ნეიტრალიტეტის სრული შეუძლებლობის პირობებში ქართლისა და კახეთის სამეფოები საკუთარ სახელმწიფოებრივ სტატუსს აგებდნენ სამი დიდი იმპერიის — რუსეთის, თურქეთისა და ირანის ურთიერთწინააღმდეგობებიდან გამომდინარე წონასწორობაზე. სწორად არის მითითებული, რომ ამ წონასწორობის დარღვევა იწვევდა მძაფრ ეროვნულ კატასტროფებს. ლ. ტუხაშვილი მოვლენათა დაწვრილებითი ანალიზით ლოგიკურად მიდის იმ მიზეზების ჩვენებამდე, რომლებიც განაპირობებდა რუსული ორიენტაციის უცვლელობას სამი საუკუნის მანძილზე. იგი დამაჯერებლად უჩვენებს მკითხველს ქართველთა თავგანწირულ ცდებს თავდახსნისათვის და იმ ფაქტს, რომ არაერთგზისი გადამოწმება-რევიზია მიუხედავად რუსული ორიენტაცია ყოველთვის რჩებოდა ყველაზე საუკეთესო გამოსავლად, ხსნის თითქმის ერთადერთ მეთოდად.

სარეცენზიო მონოგრაფია დაფუძნებულია პირველწყაროებზე, საარქივო მასალებზე, რომელთა დიდი ნაწილიც საკუთრივ ავტორის მიერ არის მოძიებული. ლ. ტუხაშვილი არკვევს ბევრ აქამდე საეგებიოდ ცნობილ მოვლენას; ასწორებს მთელ რიგ თარიღებს. სანიმშო სიზუსტით არის აღდგენილი თვით პაატა ბატონიშვილის ბიოგრაფია, მისი საქართველოში ჩამოსვლის პერიპეტიები. ძალზე ბევრი სიახლეა XVIII საუკუნის 60-იანი წლების ვითარების ასახვაში. მაგრამ ნაშრომის მთავარი ღირსება თეორიული განზოგადებებია. ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან მეტად მწირი მონაცემებიდან აღადგინა 1765 წლის გამოსვლის მთელი პროგრამა. გამოყო ამ მოძრაობის არისტოკრატიული და დემოკრატიული ნაკადები, დაადგინა სხვადასხვა დაჯგუფებათა შემადგენლობა. უფრო მეტიც, ავტორმა შეძლო მოეძებნა ყველა ამ დაჯგუფების პოლიტიკური პლატფორმა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ალექსანდრე ამილახვრის პოლიტიკური შეხედულებების განხილვა.

ლ. ტუხაშვილის მონოგრაფიის ძირითად ღირსებას წარმოდგენს რუსეთის როლის ჩვენება საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოძრაობაში. ერთი შეხედვით ხშირად არ არის საუბარი რუსეთზე (გამონაკლისს წარმოადგენს პაატა ბატონიშვილის რუსეთში ყოფნის პერიოდი და ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონის პოლიტიკური ინტრიგების ჩვენება), მაგრამ თითქმის ყველგან შესანიშნავად იგრძნობა, რომ ძლიერი ჩრდილოური სახელმწიფო განსაზღვრავს ძალზე ბევრი მოვლენის განვითარების დონეს საქართველოში. ამ მხრივ XVII-XVIII საუკუნეების რუსეთი დაახლოებით ისეთსავე როლს ასრულებდა, როგორსაც თავის დროზე ბიზანტიის იმპერია. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ბიზანტიის დაცემის პარალელურად საქართველო ძლიერდებოდა ახლა კი საპირისპირო პროცესთან გვაქვს საქმე. მაგრამ მსგავსება უცსადესია. აქედან გამომდინარე, სრულიად ლეგიკურად მოჩანს 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება.

ლ. ტუხაშვილის მონოგრაფია ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხსაც შეიცავს. რასაკვირველია, იგი დაზღვეული არ არის ცალკეული ხარვეზებისაგან, მაგრამ წიგნი მთლიანობაში სასიამოვნოდ იკითხება. ავტორს ორგვარი სტილი აურჩევია. თეორიული განზოგადებისას მისი ხელწერა ოდნავ მძიმეა, რასაც წერის მანერა აწევს. სხვა შემთხვევებში თხრობა ლაღია და ადვილად აღსაქმელი.

ლ. ტუხაშვილის მონოგრაფია შესრულებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებაში და თავისი ხარისხით კარგად წარმოაჩენს იმ დონეს, რომელზეც ამ სამეცნიერო დაწესებულებაში ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მეცნიერული შესწავლა და ფართო მასებში მისი პროპაგანდა წარმოებს. სარეცენზიო ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის მეტად თვალსაჩინო შენაძენია.

შ. ბადრიძე,
პროფესორი.

ლ. ტუხაშვილი. „რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში“. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1983 წელი.

„ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲛᲐᲠᲐᲒᲓᲔᲚᲘᲡ“ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ—ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ

ᲓᲘᲓᲘ ხანი არ არის, რაც იშვა „მამულიშვილობა“ — გამოჩენილი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ხსოვნის დღე — რომელიც ქართული კლასიკური რეალიზმის ტრადიციების ერთ-ერთი სახელოვანი განმგრძობისადმი ურომლოდ პატივისცემისა და სიყვარულის დასტურია.

წლეულს მესამედ აღინიშნა „მამულიშვილობა“ მარნეულის რაიონის მთის სოფელ წერაქვში, სადაც დაიბადა და ფეხი აიდგა დიდმა მწერალმა; სოფელი, რომლის ბედი დამახასიათებელია საქართველოს მთის ბევრი, სოფლისათვის, თანდათან იცვლებოდა. მაგრამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, მთის სოფლების აღორძინებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ზრუნვის შედეგად, აქედან წასულებმა კვლავ იბრუნეს პირი მიტოვებული კერებისაკენ. გაიხსნა საშუალო სკოლა, გაიყვანეს გზა და წყალსადენი. წერაქველთა ხშირი სტუმრები გახდნენ თბილისელი მსახიობები, ხოლო ქალაქ თბილისის კალინინის რაიონმა იკისრა სოფლისადმი შეფობა. მტკიცე მეგობრობა დამყარდა აქაურ ბავშვებსა და ნათ თანატოლებს — საქართველოს დედაქალაქის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებს, ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „მზიურის“ სოლისტებს შორის.

სინამდვილემ ძლიერ გაუსწრო პატრიოტი მწერლის ყველაზე გაბედულ ოცნებებს. ამის დადასტურებაა მარნეულის რაიონის ეკონომიკური და კულტურული განვითარება, რომლის მშრომელები — ქართველები და აზერბაიჯანელები, რუსები და სომხები მხარდამხარ, ფუძემაგარი, ერთსულოვანი ოჯახის წევრებივით ერთად შრომობენ, ერთად ხარობენ და ძლევენ სიძნელეებს, ერთად ამრავლებენ და განამტკიცებენ მრავალეროვანი რაიონის სახელოვან შრომის ტრადიციებს. „მამულიშვილობის“ წლევანდელმა დღესასწაულმა ნათლად ასახა საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური სულისკვეთება, რომლებიც პატივს სცემენ მოძმე ხალხების სულიერ ღირებულებებს, თვალის ჩინივით უფრთხილდებიან მათი კულტურების კუთვნილებას. ამას თვალნათლივ მოწმობს მირზა ფათალი ახუნდოვის ძეგლი თბილისში და ნარიმან ნარიმანოვის ძეგლი მარნეულში, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის სახლი რესპუბლიკის დედაქალაქში. სამუდამოდ დარჩება ხალხთა მრავალსაუკუნოვანი ძმობის მოხუმენტებად საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებში საქართველოს სამხედრო გზაზე გახსნილი რუსი და ქართველი ხალხების გამოჩენილ შვილთა ძეგლები. წერაქვის მთებს ექოდ მოედო „არსენა მარაბდელის ავტორისადმი მადლიერების სიტყვები.

მწერლის ხსოვნის პატივსაცემად თავი მოიყარეს თბილისიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, აქვე იყვნენ თბილისის კალინინის რაიონის დელეგაციის წევრები, აგრეთვე ზუგდიდის, ბოლნისისა და დმანისის რაიონების წარმომადგენლები, რომლებსაც მარნეულელებთან აკავშირებთ ხელშეკრულებანი სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. სტუმართა შორის იყო ამ დღესასწაულობის მუდმივი მონაწილე — მწერლის შვილიშვილი რამაზ ჯავახიშვილი.

დამსწრეთა წინაშე გაჩოვიდნენ ცნობილი ქართველი მწერლები, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები.

მიტინგზე მიხეილ ჯავახიშვილსა და მის სულიერ მეძეკვიდრეობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

აღორძინებულ სოფელში გაისმა ქართული, აზერბაიჯანული, სომხური, რუსული ჰანგები.

დღესასწაულში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. ენდელაძე და ნ. ჯანბერიძე.

ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ

ᲕᲘᲜ ᲐᲒᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ?

ᲕᲘᲜ არ უნახავს ასეთი სურათი: ღილისთ და ღამით ათობით ავტომობილი ჩამწკრივებულია საცხოვრებელი სახლების გარშემო, ეზოებში, ხერგვენ ტროტუარებს. ავტომოყვარულმა არ იცის, სად გაიჩეროს თავისი მანქანა. ეს გასაკვირი არც არის: მხოლოდ ყოველ მეათე მფლობელს აქვს საშუალება საკუთარი მანქანა ავტოსადგომზე დაიყენოს. სტატისტიკის მონაცემებით, ამჟამად თბილისში 81 ავტოსადგომია, რომლებიც 7 ათას მანქანას იტევს, ანუ პირად სარგებლობაში მყოფი საავტომობილო პარკის 11,5 პროცენტს. ავტოსადგომს პრობაგანდა არ სჭირდება: ეს გახლავთ მანქანების დაცვის გარანტიაც, ადამიანებისათვის ქალაქის სივრცის. განთავისუფლებაც. და მიუხედავად ამისა... როგორც საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების (ამ ორგანიზაციას ეკუთვნის ავტოსადგომები) ცენტრალური სტრუქტურის ინფორმაციიდან ჩანს, ავტოსადგომების ადგილმდებარეობა ერთ-ერთ ადგილზე ბევრ ადამიანს ეზარებოდა ავტომობილის ადგილზე ადგილზე ადგილზე

საფირმო მატარებელი „ალაზანი“

ᲬᲣᲮᲔᲚ თბილისის ვაგზლის ბაქნიდან გავიდა ლამაზად მორთული უჩვეულო საფირმო სამგზავრო მატარებელი „ალაზანი“. მისი მარშრუტია თბილისი-თელავი. ახალი სამგზავრო მატარებელი თეთრ-ცისფრად არის შეღებილი, რაც მას განსაკუთრებულ ხაზეიმო იერს ანიჭებს. ყველა ვაგონი დამშვენებულია ტრაქტატისადმი მიძღვნილი მხატვრული პლაკატებით, სამარშრუტო ფარებზე გამოსახულია „ქართველის დედა“ და გრემის ტაძარი; შიგნით ლამაზად არის გაფორმებული, ყველგან დაფენილია ფიანდაზები. ვაგონები რადიოფიცირებულია, სპეციალურად შედგენილი რადიოპროგრამა მგზავრებს აცნობს ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის ისტორიას.

● ●

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მატარებელ „ალაზნის“ ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) ვ. ჩერქეზიშვილი, თ. კოფერიძე, მატარებლის უფროსი ს. ოსმანაშვილი და ვ. სადუნაშვილი.

Ჯ. ᲚᲝᲛᲯᲐᲫᲘᲡ ფოტო და ტექსტი.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

მასპინძლობს მოსკოვის ტატამი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქი პირველად მასპინძლობს ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატს და, ცხადია, ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის შეჯიბრების ორგანიზატორებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს, რათა პლანეტის უძლიერესი სპორტსმენებისათვის ასპარეზობის შესაფერისი პირობები შეექმნათ. ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი ამჯერად რიგით მეცამეტეა. აღსანიშნავია, რომ იგი თავისებური რეკორდით აღინიშნა: აქ ორმოცდაათამდე ქვეყნის 300-ზე მეტი სპორტსმენი შეეცილებან ერთმანეთს პირველობას და სწორედ ეს-ცოცხები გახლავთ რეკორდული, ვინაიდან აქამდე გამართული თორმეტი ჩემპიონატიდან არც ერთში არ უასპარეზია ამდენ ქვეყანას, აჰდენ ძიუდოისტს.

საბჭოელისტებმა გამოთქვეს აზრი, რომ ძიუდოს სამშობლოს — იაპონიის სპორტსმენები მოსკოვში მეტად ძლიერი შემადგენლობით ჩამოდგებიან, რომელთაც მეთაურობს საგზის მსოფლიო ჩემპიონი ი. იამაშიტა და გუნდური პირველობისათვის იაპონელებთან ბრძოლაში მეტად დიდი ბრძოლა გადახდებათ საფრანგეთის, გდრ-ის, სსრ კავშირის ძლიერ კოლექტივებს. საბეციალისტთა აზრით, სწორედ ამ ოთხი ქვეყნის სპორტსმენებს შორის ორთაბრძოლების შედეგები გაარკვევს გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებულის ვინაობას, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ მათ შედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ სხვა ქვეყნის წარგზავნილებიც.

კიდევ ერთი რეკორდის შესახებ, რომლის ავტორები არიან ჟურნალისტები. ბაგალითად, იაპონიიდან შეჯიბრების გასაშუქებლად ჩამოვიდა 70 ჟურნალისტი, საფრანგეთიდან — 40, გდრ-დან 30 და ასე შემდეგ. აქამდე გამართულ არც ერთ მსოფლიო ჩემპიონატს არ დასწრებია ჟურნალისტთა ასეთი მრავალრიცხოვანი კორპუსი.

გაგაცნობთ წლევანდელი ჩემპიონატის რეგლამენტსაც: დღეს. ტატამზე ეასპარეზებენ 95 კილოგრამამდე და მძიმე წონის ათლეტები, 14 ოქტომბერს — 86 და 78 კილოგრამამდე, 15 ოქტომბერს — 71 და 65 კილოგრამამდე, 16 ოქტომბერს კი 60 კილოგრამამდე და აბსოლუტური წონითი კატეგორიის ძიუდოისტები.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან ქართველი ფალავნები თაჰაზ ნამგალაური (71) და ზოთა ხაბარელი (78). თამაზ ნამგალაურის შესაძლო მეტოქენი არიან ნაკანისი (იაპონია), მელოლო (საფრანგეთი), ლემანი (გდრ), გამბა (იტალია), დანდინი (მონღოლეთი), ხოლო ზოთა ხაბარელისა — ხიკაგი (იაპონია), ადამსი (დიდი ბრიტანეთი), ნოვაკი (საფრანგეთი), პრატკა (რუმინეთი) და სხვები. ზემოთ დასახელებული სპორტსმენები ერთობ ნაცადი მებრძოლები არიან და, ცხადია, ჩვენს ფალავნებს მეტად ძნელი გაეოცდა ელეთ. დანარჩენ წონითს კატეგორიებში საბჭოთა სპორტსმენთაგან იასპარეზებენ:

მაიკოპელები ხ. ტლეცერი (60 კგ) და ხ. კუბაევი (აბსოლუტური), კურსკელი ნ. სოლოდოვნიხი (65 კგ), ბინსკელი ვ. პესსიიკი (86 კგ), ბრიანსკელი ვ. დივისენკო (95 კგ) და კუიბიშეველი ხ. ბიქთაშევი (95 კგ ზევით).

გუშინ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც გამოცხადდა, რომ წინა დღეს დამთავრებულ ძიუდოისტთა საერთაშორისო კონგრესზე ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ იაპონიის წარმომადგენელი სიგეიოსი მაცუმაე აირჩიეს. პრეზიდენტმა, რომელსაც დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული ძიუდოისტთა სამყაროში და ხალხების მეგობრობის ორდენით გახლავთ დაჯილდოებული, განაცხადა, რომ მოსკოვი შესანიშნავად მოემზადა მსოფლიო ჩემპიონატისათვის და ამის გამო დიდ მადლობას უხდის შეჯიბრების ორგანიზატორებს, "სწამს ისიც, რომ თვით ასპარეზობაც საუცხოოდ წარიმართება. ერთი სიტყვით, ჩემპიონატისათვის მზადების პერიოდი დამთავრდა. დღეს პირველი ორთაბრძოლები გაიმართება და ორი მსოფლიო ჩემპიონის ვინაობაც გაირკვევა.

Ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

● ●

ᲒᲣᲨᲘᲜ აქ დაიწყო ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. შეჯიბრების პირველ დღეს ეასპარეზეს მძიმე და 95 კგ. წონითი კატეგორიის სპორტსმენებმა. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში გახლდათ იაპონელი მძიმე წონის ძიუდოისტის, სამგზის მსოფლიო ჩემპიონის იამაშიტას მონაწილეობით გამართული ყოველი ორთაბრძოლა. პირველ შეხვედრაში იამაშიტამ ორი წუთი მოანდომა წმინდა გამარჯვებას: მან ამ დროის მონაკვეთში პოლონელი რეშკო შებოჭა. მომდევნო წრეში იამაშიტას მეტოქე გახლდათ საბჭოთა სპორტსმენი ხ. ბიქთაშევი, რომელმაც პირველი შეხვედრა იაპონელივით მალე დაამთავრა იტალიელ ბეკაჩჩიჩისთან. იამაშიტამ ამჯერადაც ინარჯა და ბიქთაშევს 1 წუთში მტკივნეული ილეთით მოუგო. ნახევარფინალში იაპონელი შეხვდა შტორს (გდრ), იგი მცირე უპირატესობით დაამარცხა და ფინალში გავიდა. მეორე ფინალისტია ჰოლანდიელი ვილჰეიმი, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლამდე ეგვიპტელი მოჰამედი, კანადელი ბერგერი და რუმინელი ჩიოკი დაამარცხა.

ᲑᲣᲜ კგ წონითს კატეგორიაში მოსპარეზეთაგან ფინალისტად გაიკაფეს გზა საბჭოთა ათლეტმა ვ. დივისენკომ და გდრ-ის წარმომადგენელმა პრეშელმა. დივისენკომ მანამდე პირველი ორი შეხვედრა წმინდად მოიგო: ნოროიტერთან (გდრ—1 წუთსა და 48 წამში) და ენსენთან (დანია—1 წუთსა და 17 წამში). ნახევარფინალში ვაშონს (საფრანგეთი) მოუგო, ჯაგრამ, ამჯერად მისი გამარჯვება მხოლოდ მცირე უპირატესობით გამოიხატა. პრეშელმა თავის მხრივ დაამარცხა რუმინელი ნაფტიკა, კუბელი აჯუი და ბელგიელი ვან დე ვალე.

უკანასკნელ საათს

გუშინ გვიან ღამით მსოფლიო ჩემპიონთა წოდებას დაეუფლნენ იაპონელი ი. იამაშიტა (მძიმე წონა) და ა. პრეშელი (გდრ; 95 კგ).

პ. ჭელიშვილი



რესპუბლიკის ვეტერან შახტმშენებელთა რიგებს გამოაკლდა სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1945 წლიდან სკკპ წევრი, საპატიო მეშახტე პოლიეტერ ნიკოლოზის ძე ჭელიშვილი.

პ. ჭელიშვილი დაიბადა 1897 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ ტყიბულში, მუშის ოჯახში, შრომითს საქმიანობაში ადრე ჩაება. 1910 წელს მუშობა დაიწყო ტყიბულის ქვანახშირის მაღაროს მტვირთავ მუშად.

1917 წლის დასაწყისში გაწვეულ იქნა მეფის არმიაში. აქვე მოუსწრო ოქტომბრის რევოლუციამ. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ისევ მაღაროს დაუბრუნდა და იყო ლენინის სახელობის მაღაროს მნგრეველი, გამმაგრებელი.

როდესაც ტყიბულში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, პ. ჭელიშვილი აირჩიეს დმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის პირველ თავმჯდომარედ. 1936 წლიდან პ. ჭელიშვილი, პენსიაში გასვლამდე, ტყიბულშახტმშენის სამმართველოში მუშაობდა გამმაგრებლად, მებიგე-გვირაბგამყვანად, გამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელად.

პ. ჭელიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. არჩეული იყო სკკპ XXI ყრილობის დელეგატად, საკავშირო და რესპუბლიკური პროფსაბჭოების წევრად, საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის წევრად და რაიონული საბჭოს დეპუტატად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მსაჯულად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულებით პ. ჭელიშვილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენით, რამდენიმე მედლით.

მშრომელი კაცის საუკეთესო თვისებებისათვის მან თანამოსაქმეების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამიტომაც პ. ჭელიშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

რედაქტორი

გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐ



ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ მიიღებას 1983-84 სასწავლო წლისათვის მოსამზადებელ კურსზე შემდეგ სპეციალობებზე: მუსიკოდნეობა, გუნდის დირიჟორობა, ფორტეპიანო, სიმღერაში საკრავები, სასული საკრავები, სოლო სიმღერა.

მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობა მიმდინარეობს შემდეგ საგნებში:

მუსიკის ლიტერატურა, სოლფეჯიო, ჰარმონია, მუსიკის ელემენტარული თეორია;

ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი);

ქართული ენა და ლიტერატურა (რუსულ სკოლადამთავრებულთათვის);

სსრკ ისტორია.

კურსებზე მიიღებიან ის პირნი, რომლებმაც დაამთავრეს მუსიკალური სასწავლებელი ან მუსიკალური ათწლედი, აგრეთვე — მუსიკალური სასწავლებლის III-IV კურსებისა და მუსიკალური ათწლედის X კლასის მოსწავლეები.

საბუთები მიიღება 31 ოქტომბრამდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 ნოემბრიდან.

მოსამზადებელ კურსებზე სწავლის პერიოდი უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას ჩაითვლება სამუშაო სტაჟად.

კურსებზე მიღებისათვის საჭიროა შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, განათლების მოწმობის ასლი ან სასწავლებლიდან ცნობა სწავლის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ორი ფოტოსურათი (3X4).

კურსები სამეურნეო ანგარიშზეა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე (კვირის გარდა) 2-დან 5 საათამდე სასწავლო ნაწილში.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: გრიბოედოვის ქ. № 8, ტელ. 99-59-06.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲕᲔᲚᲝᲛᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, კრილატსკოეს ოლიმპიურ ტრეზე, ველოსპორტში საბჭოთა კავშირის თასზე ახალგაზრობისას 17 წლის თბილისელმა სპორტსმენმა, „შრომითი რეზერვების“ აღზრდილმა თარ მეჭედლიშვილმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ადგილიდან 500 მეტრზე ჰიტში — 27,836 წამი. ქართველი გულშემატკივრების სახელით ვულოცავთ ოთარ მეჭედლიშვილსა და მის აღმზრდელებს ამ დიდ წარმატებას, ვუსურვებთ ახალგაზრდა სპორტსმენს, მრავალჯერ ესახელებინოს ქართული სპორტი და გაეხარებინოს ქართველი სპორტის მოყვარულები!

ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲔᲜ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ დასრულდა მოჭადრაკე ქალთა 43-ე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. • გამოვლინდა ოთხი ფინალისტი: ტურნირში ათი ქულით გამარჯვებული ტალინელი ტ. ფომინა, ვილნიუსელი კ. ბაგინსკაიტე — 9,5 ქულა, თბილისელი თ. ხუგაშვილი და ჩელიაბინსკელი ო. პედკო — 8,5-8,5 ქულა. ფინალურ ტურნირს ნოემბერში ოდესა უმასპინძლებს.

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲤᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲒᲗ ოთხშაბათს გამართული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების შედეგებს: **პირველი ჯგუფი.** შოტლანდია-ბელგია — 1:1, გდრ-შვეიცარია — 3:0. **მესამე ჯგუფი.** უნგრეთი-ინგლისი — 0:3, დანია-ლუქსემბურგი — 6:0. **მეოთხე ჯგუფი.** იუგოსლავია-ნორვეგია — 2:1. **მეექვსე ჯგუფი.** თურქეთი-ჩრდილოეთი ირლანდია —1:0. **მეშვიდე ჯგუფი.** ირლანდია-ჰოლანდია — 2:3.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 17 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აუზი“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“. დოკუმენტური ფილმი „მშვიდობის ხეივანი“. 10.50 — მხატვრული ფილმი „შემოდგომა“. 12.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ზღვაური“. 13.00 — მოსწავლეთათვის — სამართალმცოდნეობა. 13.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სიკო დოლიძე“. 17.00 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმები „თითქმის ნამდვილი ამბავი“, „გმადლობთ, ყარყატო“, „ჯარისკაცი და ბაღი“ და „ფერკო“. 18.05 — კონცერტი — „აბა, დელია“ (მონაწილეობენ ბათუმის № 28 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები). 18.35 — განცხადებები. 18.40 — „საერთაშორისო დღიური“. 19.10 — „იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობისათვის“ — „სიტყვისა და საქმის ერთიანობა“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — მუსიკალური შესვენება. 20.35 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „წიგნი ფიცისა“. პრემიერა. ფილმი პირველი. I სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — „მუსიკოსის გახსენება“ — ანსატასია ვირსალაძე. 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.05 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 16.35 — სატელევიზიო სპექტაკლი „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“. I სერია. 17.50 — მულტფილმები — „ის ერთხელ მოფრინდა“, „მინდორი“. 18.10 — აბიტურიენტთათვის — ქიმია.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — დოკუმენტური ფილმი „დაე, მუდამ იყოს მზე“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თქმულება ტულაზე“. 10.50 — მხატვრული ფილმი „ბრალი ედებათ მკვლელობაში“. 12.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიწა მეგვიდრეობით“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ამოფრქვევა“. 17.00 — შეგისწავლოთ ინგლისური ენა. 17.30 — მოსწავლეთათვის — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა: „ნიუტონის ვაშლი“, „სიზიფეს ლოდი“, „პირველი ვატყოფრაფი“. 18.00 — გადაცემა— „კურთხეულ იყოს დედობა შენი!“. 18.25 — „მეცნიერების სამყაროში“. 18.50 — „მეგობრობის ზეიმი მახარაძეში“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — კინონარკვევი „გორბუნოვი. ბიოგრაფიის ფურცლები“. 20.40 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი“. 20.45 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „წიგნი ფიცისა“. პრემიერა. ფილმი პირველი. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — რევაზ ლაღიძე. 00.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — განცხადებები. 16.40 — სატელევიზიო სპექტაკლი „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“. II სერია. 18.05 — მუსიკალური პაუზა. 18.10 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვებსა და მთებს იქით“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „კლაიპედა“ და „იოშკარ-ოლა“. 10.45 — ქართული მხატვრული ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“. 12.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ვარსკვლავებისაკენ“ და „ტელესკოპები“. 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი სივგარულის მდინარე“. 17.00 — შეგისწავლოთ გერმანული ენა. 17.30 — მოსწავლეთათვის — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.00 — კონცერტი ბორჯომის პიონერთა სახლის თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით. 18.35 — „ვერნისაჟი“. 19.10 — ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სივგარულს უშენებია“. 19.30 — „მოამბე“. 20.00 — ფეხბურთი უეფას თასზე. ფინალის 1/16. მოსკოვის „სპარტაკი“ — ინგლისის „ასტონ ვილა“. რეპორტაჟი „დინამოს“ ცენტრალური სტადიონიდან (მ.). 21.45 — კინონარკვევი. 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. ფინალის 1/8. უნგრეთის „რაბა“ ეტო — მინსკის „დინამო“. II ტაიმი. გადაცემა უნგრეთიდან. 23.15 — ახალი ამბები. 23.25 — ფეხბურთი თასის მფლობელთა თასზე. ფინალის 1/8. დონეცკის „შახტიორი“ — შვეიცარიის „სერვეტი“. II ტაიმი. გადაცემა დონეცკიდან.

მეორე პროგრამა. 15.55 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა. 16.40 — მხატვრული ფილმი „პატარა მუშაითი“. 17.45 — მულტფილმების პროგრამა: „ჯარისკაცი და ბაღი“, „გოგონა და ლომი“. 18.10 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბალხარი“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — „ახალგაზრდული ხმები“. 10.30 — მეექვსე კლასელთათვის — გეომეტრია. 11.00 — „რუსეთის ახალგაზრდა ბალეტი“. 12.20 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბედნიერი რომ იყო“. 13.30 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 17.00— შეგისწავლოთ ფრანგული ენა. 17.30 — „ბუნების კარი“. 18.15 — „საესტრადო პანორამა“. 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მ.). 19.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — კინონარკვევი. 20.40 — ქართული მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „წიგნი ფიცისა“. პრემიერა. ფილმი პირველი. III სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — აფხაზეთის სამხედრისა და ეკონომიკის სახელმწიფო დასახურებული ანსამბლის კონცერტი. 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — განცხადებები. 16.40 — მხატვრული ფილმი „შემოდგომა“. 18.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 21 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგზაურობა ატრაქციონის ქვეყანაში“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მანგიშლაყი-82“. 10.30 — „ხალხური მუსიკის მოამაგენი“ — ოთარ დიხამინჯია. 11.15 — სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლი „გრაფი ლუქსემბურგი“. 12.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მზიანი მხარის პალიტრა“. 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — კინონარკვევი „იალქნების პირქარი“. 17.00 — ტელეკურსელთათვის— საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.30 — მოსწავლეთათვის — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.00 — „გიწვევთ საცეკვაოდ“. 18.35 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“. 18.45 — „სოცშეჯიბრების კვარცხლბეკზე“ (გორი — ბეორგიევსკი). 19.25 — „ცეროდენას ეკრანი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — მუსიკალური შესვენება. 20.35 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე“. 20.40 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „წიგნი ფიცისა“. პრემიერა. ფილმი მეორე. I სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — „ბალეტი“. 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — „ბრალი ედებათ მკვლელობაში“. 18.10 — განცხადებები. 18.15 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 18.25 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეტიუდი“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თბილისური ჩანახატები“ და ქართული დოკუმენტური ფილმი „ძველი ქუჩა“. 10.30 — შეგისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — კონცერტი — „შენ გიმღერ, ჩემო თბილისქალაქო!“. 12.00 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 12.05 — „მმობის ეკრანი“. 13.05 — „ჯანმრთელობა“. 13.35 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 13.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ძილისპირული“. პრემიერა. საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის [illegible] 14.00 — „ჩვენი [illegible] სატელევიზიო პროგრამა. 14.00 — „ხალხური შემოქმედება“ — „სოფლის სახალხო თეატრი“. 15.55 — „ფრიფლობაზე ითქვა, რა კეთდება“. გადაცემა „ხვალ ახალი ზღვარია“. 16.25 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „საშრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი. 17.10 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 17.15 — „მულტპანორამა“. 18.15 — „ქართველთა პანთეონი მოსკოვში“ (გადაცემა პირველი). 18.40 — „კინოფაფშა“. 19.10 — ევროპის სტადიონებზე. 19.55 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 20.00 — „მოამბე“. 21.00 — „თბილისური სერენადა“ (კომპოზიტორ გიორგი ცაბაძის სიმღერები). 21.50 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 21.55— „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული პროგრამა — „ფილმი, მსახიობი, როლი“.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — „მოამბე“. 10.30 — შეგისწავლოთ რუსული ენა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები. 11.45 — „საკვირაო გამოფენა“. 11.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „სამი მეზობელი“. 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.). 13.15 — ხალხური მუსიკის კონცერტი. 14.00 — „საკვირაო გამოფენა“. 14.05 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“. მხატვრული ფილმი „სახიჩარნი“. 15.50 — „ვესტნიკი“. 16.20 — „საკვირაო გამოფენა“. 16.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ძველი თბილისის მოტივები“. 16.45 — „ჩვენი ლაშქარი“ — სერგო ზვიადელიძე. 17.15 — „თბილისის ძველი უბნების რეკონსტრუქცია“. 18.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“ — ხარკოვის „მეტალისტი“. რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. შესვენების დროს — „საკვირაო გამოფენა“ და კინონარკვევი. 19.45 — „ზღაპრის გუდა“. 20.00 — „მოამბე“. 20.40 — „საკვირაო გამოფენა“. 20.45 — „თბილისობა“. 21.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მე თბილისიდან ვარ“ (მხატვარი სავიტაკაია). 21.35 — „კინტრვიუ მატჩის შემდეგ“. 21.55 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „საფეხბურთო მომხილვა“ (მ.). 23.05 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „რეკორდი“.

ᲪᲘᲡᲤᲘᲠᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲮᲘᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ



ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა“. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ). 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 სიმღერები სამშობლოზე. 11.15 — „ფართო გზა კოლექტიურ იყვარას“. საუბარი. 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა. 12. 20 — უკრავს კამერული ორკესტრი ვ. შტროსის ხელმძღვანელობით. 12.50 — „სცენის ოსტატები“. სცენა სპექტაკლიდან „მარინე“ მ. ჯაფარიძისა და ო. არჩვაძის მონაწილეობით. 13.40 — „ლიტერატურული კითხვა“. დ. შენგელაია — ირმის ნახტომი. 14.15 — კლასიკური საბალეტო მუსიკა. 15.00 — „ერთიან ოჯახში“ საქართველოს რადიოს გადაცემა (მ). 17.00 უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „ეროვნული ლექსიკონი“. 19.15 — „ჩვენი ახალი ჩანაწერები“. მეცრის ლ. თათარაძე. 19.40 — „ცამბირის ენერგეტიკულ მშენებლებზე“ (მ.). 20.30—ს. რახმანინოვი. საფორტეპიანო პიესები. 21.00 — ძილისპირული. 21.15 — რადიოსადგური „სიმღერა“. 22.00 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე. 23.30 — უკრავს საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა“. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების „ფურცლებზე. 9.45 — ნ. გუდაშვილი. „ჩემი სამშობლოს ველებზე“. 11.15 — „პარტიული ცხოვრება“. რეპორტაჟი „მეფოლადეთა სიტყვა და საქმე“. 11.30 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა. 12.10 — „ნაშუადღევს“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.40 — „ლიტერატურული კითხვა“. დ. შენგელაია — „ირმის ნახტომი“. 14.15 — მელოდია ი. არხიპოვა, 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“